

### **პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

მაგისტრატურაში სწავლის უფლება აქვს ბაკალავრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელიც უნივერსიტეტში მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებს საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგების საფუძველზე, ჩააბარებს შიდა საუნივერსიტეტო გამოცდებს უცხოურ ენაში (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, რუსული - B2 დონე) და სპეციალობაში. უცხო ენის გამოცდიდან თავისუფლდება პირი, რომელიც წარმოადგენს შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან წინა საფეხურის კვალიფიკაცია აქვს მიღებული ინგლისურენოვან პროგრამაზე.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის საკითხები/ტესტები და ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება სტუ-ის ვებგვერდზე გამოცდის დაწყებამდე მინიმუმ ერთი თვით ადრე.

საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

### **პროგრამის მიზანია:**

- შესძინოს ღრმა და სისტემური ცოდნა საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის თეორიულ-მეთოდოლოგიური საფუძვლების, დარგის განვითარების, პერსპექტივების, ძირითადი ტენდენციებისა და თანამედროვე გამოწვევების შესახებ; ასევე, თანამედროვე მსოფლიოს აქტუალური პოლიტიკური, ეკონომიკური თუ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროცესების ცოდნა ეროვნულ, რეგიონალურ და გლობალურ კონტექსტში;
- გამოუმუშაოს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში უახლესი მეცნიერული კვლევების კრიტიკული ანალიზის, შეფასებისა და საკუთარი ორიგინალური დასკვნების შემუშავების უნარი; ასევე, თანამედროვე ეტაპზე, საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში არსებული პრობლემების იდენტიფიცირების და მათი გადაწყვეტის ახალი ეფექტიანი გზების შემუშავების უნარი;
- გამოუმუშავოს კვლევის უნარი თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით და მოამზადოს შემდგომი სამეცნიერო საქმიანობისათვის;
- გამოუმუშავოს აკადემიურ, კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საერთაშორისო ურთიერთობების პრობლემემატიკის შესახებ, საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერიტი და ზეპირი ფორმით კომუნიკაციის უნარი;
- მაღალი დონის პირადი ავტონომიის ფარგლებში გამოუმუშავოს სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს დემოკრატიული ღირებულებებით მართვის უნარი.

### სწავლის შედეგები/კომპეტენტურობები (ზოგადი და პროფესიული)

1. განმარტავს საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური და თანამედროვე სკოლების სპეციფიკას, საერთაშორისო პოლიტიკისა და საერთაშორისო უსაფრთხოების პარადიგმებსა და თანამედროვე ტენდენციებს; მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკის თავისებურებებს და მათ მნიშვნელობას.
2. აფასებს ევროატლანტიკურ პოლიტიკას და მის მნიშვნელობას, მშვიდობის დამყარებისა და შენარჩუნების როლს საერთაშორისო ურთიერთობებში;
3. განსაზღვრავს სწავლის პროცესში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და კრიტიკული ანალიზის საფუძველზე საერთაშორისო ურთიერთობების, კერძოდ საერთაშორისო უსაფრთხოების, საგარეო პოლიტიკის, საერთაშორისო ეკონომიკის თანამედროვე პრობლემებს (მათ შორის კრიზისულ სიტუაციებში).
4. აანალიზებს როგორც მთლიანად საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში, ისე საერთაშორისო ურთიერთობების სფეროში სხვადასხვა კონკრეტული მიმართულებებით არსებულ პრობლემებს, თანამედროვე სამეცნიერო მიღწევებს და დარგის სპეციალისტებს სთავაზობს არგუმენტირებულ დასკვნებსა და პრობლემის გადაჭრის ახალ ორიგინალურ გზებსა და მეთოდებს.
5. ავლენს საერთაშორისო ურთიერთობების სფეროს კვლევისათვის აუცილებელი ლიტერატურისა და თანამედროვე ინფორმაციების ავტონომიურად მოძიებისა და სისტემატიზაციის უნარს; კრიტიკულად განიხილავს და აფასებს დარგობრივ სამეცნიერო ლიტერატურას;
6. ამზადებს აკადემიურ ნაშრომებს და კვლევით პროექტებს საერთაშორისო ურთიერთობებთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის შესახებ შესაბამისი თეორიული ახსნისა თუ ინტერპრეტაციის, მონაცემების შეგროვებისა და ანალიზის მეთოდების გამოყენებით და აკადემიური თავისუფლების, ეთიკისა და სტანდარტების დაცვით, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების დახმარებით, წარადგენს ზეპირი და წერილობითი ფორმით საკუთარი კვლევის შედეგებს, დასაბუთებულ დასკვნებს და პრობლემის გადაჭრის სავარაუდო გზებს;
7. აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებას თუ არასპეციალისტებს, წერილობითი და ზეპირი ფორმით, წარუდგენს საკუთარი კვლევის შედეგებს და არგუმენტირებულ დასკვნებს, აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით; თანმიმდევრულად, ნათლად და დამაჯერებლად წარმართავს დებატებს, ერთგვარ დისკუსიებში, წამოაყენებს და იცავს საკუთარ მოსაზრებებს, სხვისი მოსაზრებების პატივისცემის გათვალისწინებით;
8. მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენებითა და პრაქტიკული მუშაობით ახდენს ცოდნის გაღრმავებას; განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს; გეგმავს საკუთარი სწავლის შემდგომი გაგრძელების პერსპექტივებს დამოუკიდებლად.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

შეფასება ხდება 100 ქულიანი

სკალით. დადებითი

შეფასებებია:

- (A) - ფრიადი - შეფასების 91-100ქულა;
- (B) - ძალიან კარგი - შეფასების 81-90ქულა;

- (C) - კარგი - შეფასების 71-80 ქულა;
- (D) - დამაკმაყოფილებელი - შეფასების 61-70 ქულა;
- (E) - საკმარისი - შეფასების 51-60 ქულა.

უარყოფითი შეფასებებია:

- (FX) - ვერ ჩააბარა - შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) - ჩაიჭრა - შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

სილაბუსებში მოცემულია სტუდენტის ცოდნის შეფასების შესაბამისი ფორმები და მეთოდები. შეფასების ფორმების შესაბამისი მეთოდების, კრიტერიუმებისა და სკალების აღწერა. კვლევითი კომპონენტის შეფასების წესი მოცემულია სტუ-ის ვებგვერდზე.

### სასწავლო კურსების ჩამონათვალი კრედიტების მითითებით

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
1	აკადემიური წერა	5
2	ევროატლანტიკური პოლიტიკა: ნატო და ევროკავშირი	5
3	საერთაშორისო ურთიერთობების კლასიკური და თანამედროვე თეორიები	5
4	საერთაშორისო პოლიტიკის თანამედროვე საკითხები	5
5	თანამედროვე საერთაშორისო სამართალი: თეორია და პრაქტიკა	5
6	გლობალური ეკონომიკა	5
7	კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში	5
8	კონფლიქტების დარეგულირებისა და პრევენციის საერთაშორისო მექანიზმები	5
9	„ხისტი“ და „რბილი“ ძალა საერთაშორისო ურთიერთობებში	5
10	საერთაშორისო უსაფრთხოება - თანამედროვე გამოწვევები	5
	<b>არჩევითი სასწავლო კურსები</b>	
9.1	ჩინეთის საგარეო პოლიტიკისა და ეკონომიკის ტრანსფორმაცია	5
9.2	ინფორმაციული ომები და კიბერსივრცე	5
9.3	გლობალიზაცია და ახალი მსოფლიო წესრიგი	5
9.4	პოსტსაბჭოთა ქვეყნების პოლიტიკის შედარებითი ანალიზი	5
9.5	საერთაშორისო ტერორიზმის ევოლუცია გლობალიზაციის ეპოქაში	4
9.6	საზღვარგარეთის ქვეყნების დიპლომატიური სამსახურები	4

9.7	რუსეთის საგარეო პოლიტიკური სტრატეგიები	5
9.8	აშშ-ს საგარეო პოლიტიკური სტრატეგიები	5
9.9	ეკონომიკური დიპლომატია	4
9.10	პოლიტიკური იმიჯოლოგია	4
9.11	ევროპული ნაციონალიზმის თანამედროვე გამოწვევები	4
9.12	დიდი სტრატეგია და საერთაშორისო თავდაცვა	4
9.13	პოლიტიკური ფილოსოფია	4
9.14	საერთაშორისო მოლაპარაკების ტექნიკა	4
9.15	ევროპული მულტიკულტურალიზმის პოლიტიკა (ინგლისურენოვანი სასწავლო კურსი)	4
9.16	პოლიტიკური ლიდერობა და ელიტიზმი	4
10	სამაგისტრო პრაქტიკა საერთაშორისო ურთიერთობებში	5
	<b>სამაგისტრო ნაშრომის შესრულება და დაცვა</b>	<b>30</b>